ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N33

ქ. ხობი 12 აპრილი 2012 წელი

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N33030862, სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ჭოხონელიძის სახით

და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „თორნიკე სალაყაია" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისამართი: ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი პირველი ხორგა ტელეფონის ნომერი: 895469968 საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 58001006935 ანგარიშის N36080304 სს „ლიბერთი ბანკი"–ს ხობის ფილიალი ბანკის კოდი 220101465 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თორნიკე სალაყაიას სახით

შესყიდვა ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სარგებლობაში არსებული „ვაზ"-2106" სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი - 50112000.

1.2 ხელშეკრულებას თან ერთვის მიწოდებლის მიერ წარმოდგენილი დეფექტურობის აქტი, სადაც მოცემულია სათადარიგო ნაწილების (ღირებულება - 1504 ლარი) და სარემონტო მომსახურების (ღირებულება - 293 ლარი) ჩამონათვალი რაოდენობის და ღირებულების მითითებით, რომლის მიხედვით უნდა გაუწიოს მიმწოდებელმა ტექნიკური მომსახურება სატრანსპორტო საშუალებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (გარდა დღგ გადასახადისა) შეადგენს 1797.00 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. „მიმწოდებელი" ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

3.3. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში.

4. მხარეთა უფლებები

4.1.„მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

4.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

4.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

4.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებითა და ვადაში;

4.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

5.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელსეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

7.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

8.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის(შეთანხმების) გზით.

10. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

10.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

10.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან: ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

2. მიმწოდებელი მხრიდან - თორნიკე სალაყაია

11.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

11.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

11.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.5 ხელშეკრულების ენა ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

12. მომსახურების გაწევის ვადები

12.1 მომსახურების გაწევის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 აპრილის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან 21 აპრილის ჩათლით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 4 (ოთხი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოს მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

საფუძველი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 12 აპრილის N367 წერილი.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
მამუკა ჭოხონელიძე

ინდივიდუალური მეწარმე
თორნიკე სალაყაია

ხ ო ბ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ინდ. 5800 ქ.ხობი, ც.დადიანის ქ.№189. ტელ. 8-414-22-21-93

ელ. ფოსტა: infokhobi@gmail.com
www.khobi.ge

№ 367

„12" 07 2012 წ

2012.12.04.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს

ბატონო მამუკა,

გეგზავნებათ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების „ვაზ-2106" და „ვაზ-2107"-ის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულების პროექტი ი/მ „თორნიკე სალაყაიასთან გასაფორმებლად.

დანართი: 1.ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი- 1(ერთი) ფურცელი.

2.საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი 2 ეგზემპლარი 2(ორი) ფურცელი

3. ხელშეკრულების პროექტის 2 ეგზემპლარი - 10 ფურცელი,

პატივისცემით

გამგებელი გოგა ღურწკაია

№ 163
12 04 2012
14 საათ.

დეფექტურობის აქტი

ჩვენ ქმეოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ბალანსზე არსებული ვაზ-2106 მარკის ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საჭიროა შემდეგი სათადარიგო ნაწილების შეცვლა

#	დასახელება	ზომის ერთეული	სათადარიგო ნაწილები			მომსახურება		შენიშვნა
			რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ. ღირებ	ერთ. ფასი	სულ. ღირებ	
1	ძრავის თავსახურის შუასადები	ცალი	1	4	4	5	5	
2	ძრავის სარქველის „სალნიკი"	კომპლექტი	1	12	12	5	5	
3	სანთელი	კომპლექტი	1	28	28	5	5	
4	„სტოიკა მოლოტოჩკა"	ცალი	1	6	6	5	5	
5	გადამულობის ავზი	ცალი	1	5	5	3	3	
6	გადამულობის „სალნიკები"	კომპლექტი	1	6	6	4	4	
7	„შარავოი"	კომპლექტი	1	48	48	7	7	
8	მუხრუჭების მილისა	კომპლექტი	1	16	16	2	2	
9	„ტიაგა"-შუათანა	ცალი	1	30	30	7	7	
10	„მაიატნიკი"	კომპლექტი	1	30	30	15	15	
11	თვლების შეყრის „ტულკები"	კომპლექტი	1	25	25	15	15	
12	მარჯვენა ქვედა „ჩაშკა"	ცალი	1	40	40	15	15	
13	გადამცემი კოლოფის „ხუბლიკი"	ცალი	1	19	19	5	5	
14	შტანგერი	კომპლექტი	1	100	100	20	20	
15	„კრესტავინა"	კომპლექტი	1	24	24	10	10	
16	„პადვესნოი"	ცალი	1	28	28	0	0	
17	ძრავის უკანა „სალნიკი"	ცალი	1	5	5	5	5	
18	სამუხრუჭე ხუნდი	კომპლექტი	1	14	14	7	7	
19	რადიატორის თავსახური	ცალი	1	5	5	0	0	
20	საბურაკი	კომპლექტი	1	360	360	5	5	
21	აკუმულატორი	ცალი	1	120	120	0	0	
22	ნათურები	კომპლექტი	1	15	15	5	5	
23	ძრავის ზეთი	ლიტრი	4	10	40	0	0	
24	საქარე მინის საწმენდი	კომპლექტი	1	15	15	2	2	
25	ზეთის ფილტრი	ცალი	1	7	7	5	5	
26	შორგვის საკისარი „ცაპკა"	ცალი	1	15	15	7	7	
27	სანთლის სადენები	ცალი	1	15	15	5	5	
28	გამანაწილებელი ლილვი	ცალი	1	140	140	20	20	
29	ბარბაცა „ტალკატელი"	ცალი	1	90	90	20	20	
30	გადაცემათა კოლოფი	ცალი	1	70	70	40	40	
31	მინის დასაბური	კომპლექტი	1	30	30	10	10	
32	სავარძლის ჩიხოლი	კომპლექტი	1	32	32	5	5	
33	კოვრიკი	კომპლექტი	1	45	45	0	0	
34	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	10	10	2	2	
35	ბენზინის ფილტრი	ცალი	1	10	10	2	2	
36	სამუხრუჭე სითხე	ცალი	1	5	5	0	0	
37	თვლების შეყრის გასწორება	ჯერი	1	0	0	30	30	
38	გაუთვალისწინებელი				40		0	
	სულ ჯამი				1504		293	

შემსრულებელი თორნიკე სალაყაია

მთ. სპეციალისტი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში ლადო ბუკია